

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„--ჩხოროწყუს--- მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლებისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, განისაზღვრება 2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის, წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლები და ნაშთის ცვლილება.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები განსაზღვრავს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6¹-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული 2022 წლის 4 ოქტომბრის N 04-03/92512 წერილის შესაბამისად საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2023 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 9843,5 ათას ლარს შეადგენს. 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2023 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 763,5 ათასი ლარით (8,4%-ით).

2023 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 8273,5 ათასი ლარით;

2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 8,1%-ით (758,5 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1570,0 ათას ლარს;

2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 0,3%-ით (5 ათასი ლარით) იზრდება.

2023 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 215,0 ათასი ლარამდე, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლება მოსილების განსახორციელებლად.

- ✓ შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 325,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
 - ✓ რენტა 325,0, ათასი ლარი;
 - ✓ მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 300,0 ათასი ლარი
 - ✓ შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 25,0 ათასი ლარი;
- შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 160,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
 - ✓ სანებართვო მოსაკრებლები 100,0 ათასი ლარი;
 - ✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 60,0 ათასი ლარი;
- შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 50 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
 - ✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 50 ათასი ლარი;
 - ✓ შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 1855,8 ათასი ლარი
- არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 300,0 მლნ ლარს;

სულ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრება 12749,3 ათასი ლარით

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 12749,3 ათას ლარს (2022 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით 1265,3 ათასი ლარით).

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება - 1895,0 ათასი ლარი; მათ შორის:
 - ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 705,0 ათასი ლარი;
 - ✓ წყლის სისტემების განვითარება -175,0 ათასი ლარი;
 - ✓ გარე განათება - 320,0 ათასი ლარი;
 - ✓ მუნიციპალური შენობების მწმენებლობა -რეაბილიტაცია, 100,0 ათასი ლარით;
 - ✓ ქ ჩხოროწყუსა და სოფლის ცენტრების კეთილმოწყობის ღონისძიებები 200,0 ათასი ლარი.

- ✓ სასაფლაოების მოვლა შესახვა 50,0 ათასი ლარი.
- ✓ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 100,0 ათასი ლარი.
- ✓ მგფ სა და ერგ -ების პროექტების თანადაფინანსება 190,0 ათასი ლარი.
- ✓ სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა 55,0 ათასი ლარი
- დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრება-550,0 ათასი ლარი;
- განათლება - 2460,0 ათასი ლარი, მათ შორის:
 - ✓ სკოლამდელი განათლება - 2300,0 ათასი ლარი;
 - ✓ საჯარო სკოლების ხელშეწყობა- რეაბილიტაცია 70,0 ათასი ლარი;
 - ✓ სკოლის გარეშე განათლების ხელშეწყობა 90,0 ათასი ლარი;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 1510,0 ათასი ლარი მათ შორის:
 - ✓ სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 640 ათასი ლარი; აქედან:
 - ✓ ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა -210,0 ათასი ლარი;
 - ✓ სპორტული სკოლების ხელშეწყობა -250,0 ათასი ლარი;
 - ✓ სპორტული ღონისძიებების დაფინანსება-50,0 ათასი ლარი;
 - ✓ „ააიპ“ სამეგრელოს დანიშნულების მართვის ორგანიზაცია გრანტის გადაცემა 30,0 ათასი ლარი;
 - ✓ სპორტული მოედნების რეაბილიტაცია -100,0 ათასი ლარი;
 - ✓ კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 805,0 ათასი ლარი; აქედან:
 - ✓ კულტურის სახლების სასოფლო კლუბების და ბიბლიოთეკების ხელშეწყობა 485,0 ათასი ლარი;
 - ✓ მუზეუმების ხელშეწყობა--130,0 ათასი ლარი;
 - ✓ სახელოვნებო სკოლის ხელშეწყობა ---130 ათასი ლარი;
 - ✓ კულტურული ღონისძიებების დაფინანსება -- 60,0 ათასი ლარი;
 - ✓ ახალგაზრდული პროგრამებისა და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა --65,0 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1270,0 ათასი ლარი,
 - ✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება 170,0 ათასი ლარი;

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით.

ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; · მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

- ✓ მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა ----1000,0 ათასი ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების:
- ✓ სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები 3,0 ათასი ლარი
- ✓ მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა --205,0 ათასი ლარი;
- ✓ ახალშობილ ბავშვთა დახმარების პროგრამა --50,0 ათასი ლარი;
- ✓ თირკმლის დიალეზზე მყოფთა პროგრამა -- 35,0 ათასი ლარი;
- ✓ უსინათლოთა პროგრამა---12,0 ათასი ლარი;
- ✓ მეორე მსოფლიო და ავღანეთის ომებში მონაწილეთა დახმარების პროგრამა --60,0 ათასი ლარი;
- ✓ ას წელს გადაცილებულთა დახმარების პროგრამა --4, 0 ათასი ლარი;
- ✓ უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა --33,0 ათასი ლარი;
- ✓ გაუსაძლის საბინაო პირობებში და უკიდურესად შეჭირვებული ოჯახების დახმარება --80,0 ათასი ლარი;
- ✓ შეჭირვებული ოჯახებისათვის სხვა ერთჯერადი სოციალური დახმარება --120,0 ათასი ლარი;
- ✓ სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება --285,0 ათასი ლარი;
- ✓ ჩერნობილის ავარიის ლიკვიდაციაში მონაწილეთა დახმარება --7,0 ათასი ლარი;
- ✓ შშმ ბავშვთა და მოზარდთა დახმარების პროგრამა --60,0 ათასი ლარი;
- ✓ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა (უფასო სასადილოები) --45,0 ათასი ლარი;
- ✓ უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები --1,0 ათასი ლარი;
- ✓ სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის ლიკვიდაციის ხარჯი 100,0 ათასი ლარი;
- ✓
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 5064,3 ათასი ლარი, მათ შორის:
 - ✓ საკრებულოს დაფინანსება - 1354,9 ათასი ლარი;
 - ✓ მერია - 3424,2 ათასი ლარი;
 - ✓ ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის ხელშეწყობა--204,2 ათასი ლარი
 - ✓ სარეზერვო ფონდი - 80,0 ათასი ლარი;
 - ✓ ვალდებულებების კლება 1,0 ათასი ლარი;
- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში
- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 4860,1 ათასი ლარი
- თავდაცვა - 204,2 ათასი ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა - 1050,0 ათასი ლარი;

- გარემოს დაცვა - 750,0 ათასი ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 645,0 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა - 170,0 ათასი ლარი;
- დასვენება კულტურა რელიგია 1510,0 ათასი ლარი;
- განათლება - 2460,0 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა - 1100,0 ათასი ლარი;

„----ჩხოროწყუს-- მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2023-2026 წლები);
2. ინფორმაცია 2022 წლის 9 თვის შესრულების შესახებ;
3. ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
4. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
5. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;
6. ინფორმაცია ბიუჯეტით გათვალისწინებული „სხვა ხარჯები“-ს მუხლით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ; ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 305,0 ათასი ლარი აქედან: მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსაზღვრულია 58,0 ათასი ლარი, მერიაში 6,0 ათასი ლარი, სარეზერვო ფონდში 80,0 ათასი ლარი, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი 1,0 ათასი ლარი, რგფ და მგფ პროექტების თანადაფინანსება 10,0 ათასი ლარი, ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე 50,0 ათასი ლარი, სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის ლიკვიდაციის ხარჯი 100,0 ათასი ლარი.

ე) დადგენილების ავტორი

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ვ) დადგენილების ინიციატორი

მუნიციპალიტეტის მერი